საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-601

2020 წლის 10 ივლისი

ქ. თბილისი

„ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 25 მაისის №18 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2009 წლის 25 მაისის №18 ბრძანებაში (სსმ, №68, 03/06/2009, ს/კ: 410.030.000.22.023.013.136) შეტანილ იქნეს ცვლილება და ბრძანებით დამტკიცებული ნადირობის ობიექტებს მიკუთვნებული ცხოველთა სამყაროს ობიექტების ჩამონათვალის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ფრინველები

ა) რუხი ბატი	Anser
ბ) თეთრშუბლა იხვი	Mareca penelope (Anas penelope)
გ) რუხი იხვი	Mareca strepera (Anas strepera)
დ) ჭიკვარა (სტვენია იხვი)	Anas crecca
ე) გარეული იხვი	Anas platyrhynchos
ვ) ბოლოსადგისა (კუდსადგისა) იხვი	Anas acuta
ზ) იხვინჯა (ჭახჭახა იხვი)	Spatula querquedula (Anas querquedula)
თ) ფართოცხვირა (განიერნისკარტა იხვი)	Spatula clypeata (Anas clypeata)
ი) მელოტა	Fulica atra
კ) დიდი თეთრშუბლა ბატი	Anser albifrons
ლ) წითელთავა ყვინთია	Aythya ferina
მ) ქოჩორა ყვინთია	Aythya fuligula
ნ) ხოხობი	Phasianus colchicus
ო) კაკაბი	Alectoris graeca
პ) მწყერი	Coturnix

ჟ) წყლის ქათამი	Gallinula chloropus
რ) ჩიბუხელა	Lymnocryptes minimus
ს) ჩიბუხა	Gallinago
ტ) ტყის ქათამი	Scolopax rusticola
უ) ქედანი	Columba palumbus
ფ) გარეული მტრედი	Columba livia
ქ) გულიო	Columba oenas
ღ) ჩვეულებრივი გვრიტი	Streptopelia turtur

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის მინისტრი **ლევან დავითაშვილი**